ფიზიკური კულტურა და სპორტი — ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში!

შენი ჯანმრთელობა შენს ხელთაა!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 194 (7505)

11 ოქტომბერი, 1983 წ. სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ასპარეზზე ქუთაისელი განთიადელები

ქუთაისში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „განთიადის" საქალაქო საბჭოს XXVI სპარტაკიადა I ჯგუფის ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის, რომელიც მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავს.

სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის 12 სახეობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდა 1125 მუშა-მოსამსახურე.

კარგი ფიზიკური მომზადება გამოავლინა ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების (დირექტორი გ. გოგლიჩიძე, ფიზკულტურის ინსტრუქტორი რ. ხურციძე) კოლექტივმა, რომელმაც მოაგროვა 1936 ქულა და დამსახურებულად დაიკავა I ადგილი. 1822 ქულით II ადგილზეა საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბ „კოლხიდას" ნაკრები გუნდი (დირექტორი თ. გენძეხაძე, სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. თორთლაძე). 1789 ქულით III იყო ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი (დირექტორი ს. მურღულია, ფიზკულტურის ინსტრუქტორი დ. ჰუმბურიძე).

ასეთივე წარმატებით ჩატარდა სპარტაკიადა II ჯგუფის კოლექტივებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 12 ფიზკულტურული კოლექტივის 1500-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე.

მეორე ჯგუფის კოლექტივებს შორის სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა კიროვის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების (დირექტორი გ. შენგელია, ფიზკულტურის ინსტრუქტორი ა. მიქაბერიძე) ნაკრები გუნდი. II ადგილზეა სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „გელათის" (დირექტორი მ. მაჩიტიძე, ფიზკულტურის ინსტრუქტორი კ. სალრიშვილი) ნაკრები, III — რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის (დირექტორი შ. სანიკიძე, ფიზკულტურის ინსტრუქტორი ვ. მინდაძე) კოლექტივი.

თ. ერემეიშვილი

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ასპარეზზე ქუთაისელი განთიადელები.

ა. ლაშქარეიშვილის ფოტოები.

● ცხენოსნობა

წარმატება ლიეპაიასა და ნალჩიკში

ლატვიის ქალაქ ლიეპაიაში გაიმართა სოფლის ცხენოსანთა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც შედიოდა ცხენოსნობის კლასიკური სახეობები. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპორტსმენები, მათ შორის სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" ცხენოსნები. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა, თბილისელმა სპორტის ოსტატმა ი. კოჟინამ ცხენ რაფაელით გაწვრთნაში საშუალი პრიზზე მესამე ადგილი დაიკავა. დაბრკოლებათა გადალახვაში სოფლის ცხენოსანთა თასზე ოჩამჩირელი თ. ჯლარკავაც (ცხენი ხლოპუშკა) მესამე იყო.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი ლატვიელებმა მოიპოვეს. მეორე ადგილზეა ლიტვის გუნდი, მესამეზე რუსეთის ფედერაციის ცხენოსნები არიან, საქართველოს ცხენოსნებმა მეხუთე ადგილი დაკავეს.

ნალჩიკში გაითამაშეს ტრადიციული შეჯიბრება ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრიზზე. ამ შეჯიბრებაში, რომელშიც ცხენოსნობის კლასიკური სახეობები შედის, საქართველოს ცხენოსნებიც გამოდიოდნენ.

თბილისელმა დ. თოფურიამ (ცხენი ბრეზენტი) გაწვრთნაში დიდ პრიზზე მეორე ადგილი დაიკავა. სამჭიდში, რომელშიც შედის სამანეჟო სვლა, საველე გამოცდა და დაბრკოლებათა გადალახვა, თბილისელმა შ. ჩაპოძემ ცხენ ნაივნაიათი ასევე მეორე ადგილი დაისაკუთრა, ხოლო გუდაუთელმა გ. სალტიკოვმა ცხენ იზობარზე მეოთხე შედეგი აჩვენა. აღსანიშნავია, რომ სამივე ჩვენმა სპორტსმენმა სპორტის ოსტატობის ნორმატივი შეასრულა.

ნ. სიჟინავა.

პირველი სპარტაკიადა

თბილისის სპორტულ ბაზებზე ერთ თვეს გრძელდებოდა „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" პირველი სპარტაკიადა, მიძღვნილი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი.

სპარტაკიადის პროგრამით შეჯიბრებები ჩატარდა მინიფეხბურთში, სპორტულ თევზჭერაში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ტყვიის სროლასა და ბაგირის გადაძალვაში.

ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" მუშა-მოსამსახურეთა შორის და 11 ორგანიზაციის სხვადასხვა ასაკის მრავალ მონაწილეს მოუყარა თავი.

ცალკეულ სახეობებში გაიმარჯვეს: მინიფეხბურთში — ავტოტრანსპორტის სამმართველომ, სპორტულ თევზჭერაში — მთავარმა სამმართველომ, მაგიდის ჩოგბურთში — ტრესტ „საქსანტექმონტაჟმა", ჭადრაკში, ტყვიის სროლასა და ბაგირის გადაძალვაში — „საქვენტრემონტმა".

საერთო გუნდურ ჩათვლაში I სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა „საქვენტრემონტის" სამმართველოს გუნდი. II და III ადგილები შესაბამისად დაიკავეს მთავარი სამმართველოსა და ტრესტ „საქელექტრომონტაჟის" სპორტულმა კოლექტივებმა.

გადაწყდა სპარტაკიადა ყოველწლიურად ჩატარდეს.

თ. ტერუნაშვილი.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მხიარულად წარიმართა შეჯიბრება ბაგირის გადაძალვაში; სპარტაკიადის ჩემპიონი — „საქვენტრემონტის" სამმართველოს გუნდი; თასები, რომლებითაც დაჯილდოვდნენ გამარჯვებული კოლექტივები.

ავტორის ფოტოები.

მთავარი რეკორდი

თბილისის ვაჭრობის სამინისტროს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში დაიწყო IX ტრადიციული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია სპორტის 12 სახეობა — მძლეოსნობა, ფრენბურთი, კალათბურთი, მინიფეხბურთი და სხვა.

... საზეიმოდაა მორთული სასწავლებლის სპორტული მოედანი. „ჩვენი რეკორდი ჯანმრთელობაა!" — ვკითხულობთ ერთ-ერთ მისალმებაში. შეჯიბრების ალმის საზეიმო აღმართვის შემდეგ 150-მდე მოსწავლე სპორტსმენი „ლოკომოტივის" სტადიონისაკენ გაემართა. სწორედ აქ ჩატარდა მძლეოსანთა პირველი დღის სტარტები — რბენა 100 მეტრზე, სიგრძეზე ხტომა, ხელყუმბარის ტყორცნა.

საუკეთესოდ იასპარეზა კულინართა მე-3 ჯგუფის მოსწავლემ, მეორეთანრიგოსანმა რამაზ ბერიშვილმა. ამ 16 წლის სპორტსმენმა სამივე სახეობაში გაიმარჯვა. გოგონათა შორის წარმატებით გამოვიდა კონტროლიორ-მოლარეთა 1-ლი ჯგუფის მოსწავლე, 19 წლის იზოლდა ბესტაევა, რომელიც აგრეთვე „აბსოლუტური ჩემპიონი" გახდა. კარგად გამოვიდა ამავე სპეციალობის მე-2 ჯგუფის მოსწავლე თამარ კიკნაძეც. იგი სამივე სახეობაში საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა.

— ჩვენი მთავარი მიზანია ახალგაზრდობის აქტიური ჩაბმა სპორტში და სამშობლოსთვის ღირსეული თაობის აღზრდა, — გვეუბნება სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, სასწავლებლის ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი, სპორტის ოსტატი ი. გალდავა, — ამ მიზნით ბევრი რამ კეთდება სასწავლებელში — ეწყობა სხვადასხვა შეჯიბრებები, სპარტაკიადები, ტურისტული ლაშქრობები.

თ. ყალაბეგაშვილი.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: სპარტაკიადის საზეიმო გახსნა; შეჯიბრება ხელყუმბარის ტყორცნაში.

ავტორის ფოტოები.

ნოდებათა მინიჭება

საკავშირო სპორტკომიტეტის ბრძანებით **„საკავშირო კატეგორიის მსაჯის"** წოდება მიენიჭათ:

ცხენოსნობაში — კირიაკ გაშიმაიაზოვს („კოლმეურნე", თბილისი).

კრივში — ერასტ ერისთავს („სპარტაკი", თბილისი).

სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ:

მძლეოსნობაში — ალექსანდრე გრაბელნიკოვს („ლოკომოტივი", თბილისი), ალექსანდრე ლევჩენკოს („ბურევესტნიკი", თბილისი), მაია აზარაშვილს („კოლმეურნე", თბილისი), მარინა იგნატიევას („სპარტაკი", თბილისი), ბესიკ გოცირიძეს („შრომითი რეზერვები", თბილისი), რუსუდან ჰინჭარაულს („ბურევესტნიკი", თბილისი).

კლასიკურ ჭიდაობაში — ნოშრევან ქობულაშვილს („ზენიტი"), ალექსანდრე ერაძეს („ბურევესტნიკი", თბილისი), გურამ ოდიშვილს („სპარტაკი", თბილისი), ბექან აგლაძეს („განთიადი", სოხუმი), აკაკი ჯანჯღავას („კოლმეურნე", ზესტაფონი), ვალერიან იმედაძეს („განთიადი", ქუთაისი), ივანე სოფიანოვს („დინამო", სოხუმი), ზურაბ კობერიძეს („განთიადი", თბილისი), ბიჭიკო ბოლქვაძეს, თამაზ შავაძეს (ორივე — „კოლმეურნე", ხულოს რაიონი), თემურ ჩაფიძეს („კოლმეურნე", თერჯოლა), გრიგოლ უგრეხელიძეს („კოლმეურნე", ბათუმი).

სამბოში — ზაზა გუგულაშვილს („კოლმეურნე", კასპი), დათა ინაშვილს („კოლმეურნე", დუშეთი), ვაჟა ტუაევს („დინამო", თბილისი), თამაზ ვიბლიანს (დინამო", ზუგდიდი), შალვა გაბუნიას („ლოკომოტივი", ქუთაისი), მალხაზ ბერუაშვილს („დინამო", თბილისი), დავით აფციაურს (ასკ, თბილისი).

მაღლები



„ცხენი... ამაღლებს კეთილშობილს და ამდაბლებს სულმდაბალს". უნებლიედ ჯეკ ლონდონის ეს სიტყვები გაგახსენდება, როცა შეესწრები ცხენოსან სპორტსმენთა ვარჯიშს, მწვრთნელების გაწამაწიას, ხოლო ცხენების მოთელვასა თუ „კულისების" აურზაურს. ეს თავისთავად ამოუწურავი თემაა; ჩვენი წერილი ერთი ცხენოსნის ამბით შემოიფარგლება.

ადრეც გვითქვამს, რომ საცხენოსნო სპორტზე, ცხენოსნებზე შედარებით ნაკლები იწერება, ყოველ შემთხვევაში, იწერებოდა, როგორც სპორტის სხვა პოპულარულ სახეობათა წარმომადგენლებზე, ისე როდი ანებივრებენ ფოტო, კინო და ტელეკამერები. და თითქოს ამის პასუხად საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა ნამდვილად იყო საქართველოს ცხენოსნების ამაღლების მოწმე: სამჭიდელთა დიდი გამარჯვება (II ადგილი), მხტომელთა შესანიშნავი გამოსვლა (VI ადგილი და პირად ჩათვლაში 1 „ბრინჯაო"), დღევანდელი შესაძლებლობების პირობაზე გაწვრთნაშიც კარგი შედეგი (VIII) და, რაც მთავარია, საერთო V ადგილი — ქართული კლასიკური ცხენოსნობისათვის უმაღლესი მიღწევაა; ამიტომაც შევახსენეთ მკითხველს. ასეთი დონის ასპარეზობაზე, მით უმეტეს ცხენოსნობაში, შემთხვევით არ იმარჯვებენ! ამის დასტურია ისიც, რომ წარმატებული სტარტები სპარტაკიადის შემდეგაც არ შეწყვეტილა...

• • •

სექტემბრის დამდეგს საცხენოსნო სპორტთან უშუალოდ დაკავშირებული ხალხი და მისი ამხანაგ-მეგობრები ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „ნეტა რა ქნა ზურამ?" „არ ვიცით, მგონი დაკოჭლებია „ნამბო", მარტო ერთი კონკური უვლია..." ერთი კვირის შემდეგ კი საკავშირო პროფსაბჭოს სპორტსაზოგადოებების ნაკრებ გუნდთა ასპარეზობის (წინაღობათა დაძლევაში) თბილისელი მონაწილე, სპორტსაზოგადოება „უროჟაის" საკავშირო ნაკრების წევრი, თვით გვესაუბრებოდა შეჯიბრების შედეგებზე.

29 წლის ზურაბ დუნდუა ერთი შეხედვით თითქოს ნაკლებ მოგვაგონებს ტიპურ ცხენოსანს (არა მარტო იმათ თვალში, ვისთვისაც მხედარი აუცილებლად ფეხებმოგრეხილი ქონდრის კაცია): მაღალი, მხარბეჭიანი, პირველი შთაბეჭდილებით — გულჩვილი, უდარდელი, იგი უფრო 50-იანი წლების უნივერსიტეტელ კალათბურთელს ჩამოჰგავს; მაგრამ ვისაც იგი ცხენზე უნახავს, მისთვის ორი აზრი აღარ არსებობს — ზურაბი მთელი თავისი იერით მხოლოდ მხედარია — თანამედროვე სპორტსმენი ცხენოსანი — კლასიკური ცხენოსნობის ფრანგულ-გერმანულ-იტალიურ-ინგლისურ-რუსული ტერმინოლოგიით გამოხატული ყველა აუცილებელი წესისა და ხერხის მცოდნე და მიმდევარი და, ამავე დროს, გაუცნობიერებლად, ტრადიციული ხალხური მანერისა და სტილის გამგრძელებელი.

„...კარგი შეჯიბრება იყო; საკავშირო ნაკრების რამდენიმე წევრი აკლდა მხოლოდ. „გახსნის პრიზზე" გამოსვლა ყველასათვის სავალდებულო არც იყო (მხოლოდ იმ მხედრებისათვის იყო აუცილებელი, ვისი ცხენებიც საკავშირო სპარტაკიადაზე არ გამოსულან; ამიტომაც საერთო ჩათვლაში არც შედიოდა და მე მხოლოდ საბოლოო შემოწმებისათვის გამოვედი); მერე იყო სიახლე — სულ რამდენიმე წელია, რაც ეს შეჯიბრება მაღალი დონის საკავშირო ასპარეზობებშია ჩართული — მხტომელები ცხენის გაწვრთნაშიც უნდა გამოსულიყვნენ, ოღონდ ამ სახეობაში ბარიერების დაძლევაც იყო საჭირო. შემდეგ — წინაღობათა გადალახვის უძნელესი სახეობა „თასი", და, ბოლოს, მესამე — ეგრეთ წოდებული „სანუგეშო კონკური". საერთო ადგილიც სამი შეჯიბრების შედეგებით ჯამდებოდა.

„ნამბო" კარგი ცხენი გამოდგა. რაც დრო გადის, უფრო მომწონს. ნაკრების მწვრთნელებსა და სპორტსმენებსაც მოეწონათ. გაწვრთნაში ცუდად არ იარა, თან არც ერთი ბარიერი არ ჩამოგვიგდია; აქ მაღალი ბარიერები არ იდგა — 110 სმ; მაგრამ საჩანექო სვლის საერთო აუცილებელ სქემაში იყო ჩართული და სიძნელესაც ეს ქმნიდა. უკეთეს შედეგს ველოდი, მაგრამ, ალბათ, მსაჯებმა მიიჩნიეს, რომ სხვების გამოსვლა უფრო დახვეწილი და სუფთა იყო — საბოლოოდ ნაკლები საჯარიმო ქულები არგუნეს ჩემს მოწინააღმდეგეებს. მე მეოთხე ადგილი მხვდა. მერე „თასი" ვიხტუნეთ. უმაღლესი ბარიერი 150 სმ. იყო. „ნამბოს" არ უყვარს თხრილებზე ხტომა, ორივე ცდაზე შიგ ჩაადგა ფეხი, ცოტა აკოჭლდა, შემდეგი ნახტომიც გაგვიძნელდა და საერთო 20 საჯარიმო ქულით აქაც IV ადგილზე გავედი.

მესამე დღეს სუფთად მივდიოდი. სამბარიერიან სისტემაზე დავჯარიმდით. ერთი წინაღობა ჩამოვაგდე, მაგრამ აღარ შევფერხებულვართ, ამ 4 საჯარიმო ქულით დავამთავრეთ. ისეთი ბიჭები იყვნენ დარჩენილი, სულ ნაკრების წევრები, ვიფიქრე, ისინი შეუცდომლად გაივლიან და ასეთი შანსი გავუშვი-მეთქი ხელიდან. მაგრამ გოგინმა და ტიმჩენკომაც 4-4-ჯარიმიანი ქულა აიღეს და ჩვენ სამს შორის მოეწყო დამატებითი ხტომა 6 ბარიერზე. სუფთად გავიარე; გოგინმა ჩამოაგდო, ტიმჩენკო ბოლო ბარიერამდე კარგად მიდიოდა და მეექვსე წააქცია. ასე მოვიგე პირველი ადგილი. საერთო ჯამში კი მესამე ადგილზე დავრჩი".

ზურაბ დუნდუა ადრე სამჭიდელი იყო (საცხენოსნო სამჭიდი უძნელესი და ხიფათიანი სახეობაა; ამაში შედის სამანეჟო სვლა, საველე გამოცდა და ხტომები). მაგრამ ძალზე მძიმე ტრავმამ, რომელიც 1975 წ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, კიევში, საველე გამოცდაზე, კროსის დროს მიიღო, ლამის ჩამოაშორა სპორტს. თუმცა გადატანილმა განსაცდელმა ვერ გაუნელა სპორტული ჟინი და უკვე ერთი წლის შემდეგ გაიმარჯვა ამიერკავკასიის პირველობაზე (როგორც ახალგაზრდა, ისე ძირითადი ცხენით გამოსვლაში). შემდეგ წინაღობათა დაძლევაში (კონკურში) სცადა ძალა. აქ თითქოს რისკი ნაკლებია, მაგრამ საკუთრივ ხტომები ბევრად ძნელია — წინაღობები მაღალია და მრავალფეროვანი. მათი დაძლევა საგანგებო მონაცემების მქონე ცხენის ხანგრძლივ წვრთნას, მხედრის უდახვეწილეს ოსტატობას მოითხოვს. სამჭიდში ბარიერის მაქსიმალური სიმაღლე 120 სმ-ია, აქ, უმაღლეს კლასში, 170 სმ-საც კი დგამენ. ცალკეულ შეჯიბრებაში კი სიმაღლის ზღვარი მხოლოდ ცხენისა და მხედრის მომზადებაზეა დამოკიდებული! კარგი შედეგებიც გამოჩნდა: 1979 წ პოპულარულ შეჯიბრებაზე — ყაბარდო-ბალყარეთის თასზე, ზურაბი მეორე იყო.

ბევრ სპორტსმენს ზოგჯერ ნაადრევად უცრუვდება გული დიდ სპორტზე. შეიძლება არც უცრუვდება, მაგრამ სხვა ფაქტორები ატანს ძალას: ოჯახი, სწავლა, სამსახური, ასაკი. მით უმეტეს, რომ სწორედ მაშინ გამოვიდა საკავშირო სპორტკომიტეტის დადგენილება ცხენოსნობაში დიდ ასპარეზობებში მონაწილე სპორტსმენთა ასაკობრივი შეზღუდვის თაობაზე (35 წლის უხნეს სპორტსმენს ეკრძალებოდა საკავშირო შეჯიბრებაზე გამოსვლა); გარდა ამისა, საკონფლიქტო სიტუაციები ცხენოსნობაშიც არაა გამორიცხული... და ზ. დუნდუაც თითქმის ორი წლით ჩამოშორდა დიდ სპორტს. ერთხანს თბილისის იპოდრომის გამაჯანსაღებელ პუნქტში მუშაობდა...

„ეს დადგენილება რომ მცდარი გამოდგა, ახლა ყველა აღიარებს. უკვე წლევანდელი სპარტაკიადის დროს აუარეს მას გვერდი და ბევრი გუნდი გააძლიერეს ვეტერანებით. მართალია, ეს შემოსავლელი გზები ფორმალურად თითქოს გათვალისწინებულიც იყო, მაგრამ მაინც, ამ დადგენილებამ ბევრი კარგი სპორტსმენი ნაადრევად ჩამოაშორა ცხენოსნობას; მათი დრო სწორედ ახლა დგებოდა. ჩვენთვის გამოცდილებას, ცხენის გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ეს ყველაფერი გვიან მოდის. მე მადლობის მეტი რა უნდა ვუთხრა ჩემს მწვრთნელებს, ამხანაგებს, რომლებმაც სპარტაკიადის სამზადისის წინ დამაბრუნეს საქართველოს ნაკრებ გუნდში: მომამაგრეს გულრიფშის საცხენოსნო კლუბის ძლიერი ცხენი. მაგრამ „გაქცევაც" არ ყოფილა ჩემთვის უშედეგო. არ მეგონა, გამაჯანსაღებელ პუნქტში ასე საინტერესო თუ იქნებოდა მუშაობა იმათთან, ვინც მანეჟში პირველად ჯდებოდა ცხენზე. მე აქ საბოლოოდ მივხვდი, რომ ცხენისა და კაცის ურთიერთობა მარტო ბარიერების სიმაღლითა და სპორტული თანრიგების მოპოვებით არ ამოიწურება, ეს კავშირი ბევრად უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი ყოფილა. აქ მოდიოდნენ სხვადასხვა ასაკის, პროფესიის ადამიანები, შესანიშნავი ახალგაზრდები, ბავშვები (ბევრმა პატარამ თბილისის საცხენოსნო ბაზასა და ბავშვთა სპორტულ სკოლაში გააგრძელა მეცადინეობა); ბევრი მართლაც კარგი მხედარი გახდა. მეამაყება, რომ მაშინდელი ნაზი ქალიშვილები და ცოტა მოუხეშავი ჭაბუკები, რომელთა ვარჯიშს გულის კანკალით ვადევნებდი თვალყურს ნახერხმოყრილ დახურულ მანეჟში, ახლა ცნობილი ცხენსაშენების მწვრთნელებს ეხმარებიან არაბული და ინგლისური კვიცების სარბოლოდ მომზადებაში. რაც მთავარია, ისინი გულითადი, თავისი საქმისა და ქვეყნის ერთგული ახალგაზრდები არიან და მათი სახით ჩვენმა ცხენებმაც და საცხენოსნო სპორტმაც ნამდვილი გულშემატკივრები შეიძინა, რაც ასე გვაკლია ჩვენ!

...ისე, შინაურები მაშინ უფრო მადლიერები იყვნენ, ძნელია თვეობით სხვაგან ყოფნა. ჩვენი ერთი ასპარეზობა შეიძლება კვირაზე მეტ ხანს არც გრძელდებოდეს, მაგრამ ცხენების ტრანსპორტით გადაყვანის ხანგრძლივობისა და შემდეგ მათი აუცილებელი ყოველდღიური ვარჯიშის, მოვლის, მკურნალობის, თუ სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო დიდხანს გვიწევს ოჯახის მიტოვება. ახლაც მისაყვედურეს მამამ, დედამ... ადა და ბავშვები სოფელში არიან, მაგრამ მედლები ამოვალაგე და ცოტა დაწყნარდნენ. ისე მართლა ლამაზი მედლებია. ბრინჯაოსი მაინც ძალიან კოხტაა... „ნამბო" მოსკოვში დავტოვე. დაისვენებს. თბილისში გაზრდილი ბიჭი, ახლა ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრი კუზმინი მიხედავს; ოქტომბრისათვის მეც ჩავალ. საკავშირო პროფსაბჭოს ნაკრებში ვარ მიწვეული. ნოემბერში დაიწყება საბჭოთა კავშირის პირადი პირველობა..."

დიდ სპორტში დაბრუნების შემდეგ ზ. დუნდუა წლევანდელ აპრილს გამოვიდა თბილისში საქართველოს აბსოლუტურ პირველობაზე წინაღობათა დაძლევაში (მაქს. სიმაღლე — 140 სმ); „თასზე" III საპრიზო ადგილზე გავიდა, მაისში საქართველოს სპარტაკიადაში მონაწილეობდა (მაქ. სიმაღლე — 150 სმ, გაიმარჯვა „თასის" კონკურში); მოსკოვში საკავშირო სპარტაკიადაზე წასვლამდე საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში სახელმწიფო გამოცდები ჩააბარა, საკავშირო ასპარეზზე გამოსვლების ამბავი ზევით ითქვა... როგორც ვხედავთ, ხაზი აღმავალია!

ერთიც უნდა დავუმატოთ: თავის ყოფილ მოწაფეებზე რომ თქვა — „ცხენსაშენების მწვრთნელებს ეხმარებიანო", ამ ბიჭებმა ახლახან ცხენთა გამოცდის პროგრამაში ჩართულ „მოყვარულთა დოღშიც" მიიღეს მონაწილეობა (ორგზის) და პატიოსანი, ლამაზი ბრძოლის მაგალითი უჩვენეს თბილისის იპოდრომის, სამწუხაროდ, არცთუ ისე მრავალრიცხოვან მაყურებელს.

ზურაბის დედ-მამა — ვერა მაისურაძე და შალვა დუნდუა — დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანები არიან. ადა მეუღლეა. ჯერ ორი მამალა ბიჭი ჰყავთ... „ნამბო" ბუდიონური ჯიშის ულაყია. 9 წლისაა. უკარებაა და მკაცრი, ფერად ქურანაა, შავი ძუაფაფარი ასხია, მაღალია!..

ნოდარ ებრალიძე.

• • •

სურათზე: ზ. დუნდუა ასპარეზობისას.

ფრენბურთი იყო მისი სიყვარული

ცხოვრობს ადამიანი წყნარად, მორიდებულად. აკეთებს საქმეს, ყოველდღიურ საქმეს — ერთგულად, სიყვარულით.

სწორედ ასეთი იყო ევგენი ამირანაშვილი. სამოცდაათი წელი უსრულდებოდა ივლისში. ვერ მოესწრო.

თითქმის ოცდაათი წელიწადი ვიმუშავე მასთან და შემიძლია ვთქვა, რომ კარგად ვიცნობდი. მრავალმხრივი სპორტსმენი იყო. ჯერ კიდევ 1937 წელს ე. ამირანაშვილმა აჩვენა იმ დროისათვის მაღალი შედეგები მძლეოსნობაში, შევიდა ქვეყნის საუკეთესო მძლეოსანთა რიცხვში, მონდომებით ვარჯიშობდა სპორტულ თამაშებშიც, იყო აზერბაიჯანის ნაკრები გუნდების წევრი ფეხბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთში.

1936 წელს, აზერბაიჯანის ს. მ. კიროვის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა და დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ხელმძღვანელობდა ამავე ინსტიტუტის სპორტული თამაშების კათედრას. ომის მრისხანე წლებში სათავეში ჩაუდგა კასპიის მეზღვაურთა ფიზიკური მომზადების საქმეს, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ ე. ამირანაშვილი თბილისში გადმოვიდა და მუშაობა დაიწყო ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში.

იმთავითვე დავუახლოვდით ერთმანეთს. მისი წინადადებები საფეხბურთო კლასის ამაღლებასა და პირველობების ორგანიზაციის საკითხებზე მეტად საჭირო და ნოვატორული გამოდგა. ცოტამ თუ იცის, რომ ევგენი ამირანაშვილმა ჯერ კიდევ 1948 წელს წამოაყენა შეტევაში დაცვითი ხაზის მოთამაშეთა მონაწილეობის იდეა, რომელიც შემდგომში ანდრო ჟორდანიასთან, ნესტორ ჩხატარაშვილთან და ჩემთან ერთად დაამუშავა.

მეკარე დღეს ფეხბურთში თითქმის ისეთივე აქტიური წევრია, როგორც მინდვრის მოთამაშე. — იგი ბურთის ხელით სწრაფი გადაწოდებით ხშირად იწყებს კონტრშეტევას თავისი კარიდან. სწორედ ეს ტაქტიკური ელემენტი და მისი სრულყოფის მეთოდიკა, რომელიც დღეს ყველასთვის ცნობილია, პირველმა ამირანაშვილმა შეისწავლა.

ფეხბურთში ადრე მიღებული იყო ბურთების შეფარდება, ე. ი. გატანილი ბურთების გაყოფა მიღებული ბურთების რაოდენობაზე. დღეისათვის კი, როგორც ცნობილია, ძალაშია გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობის განსაზღვრა. დიახ, ეს ვარიანტი, რომელიც ე. ამირანაშვილმა შემოგვთავაზა 1949 წელს, მალე მიიღეს ჩვენს ფეხბურთში. როგორც ვხედავთ, სამივე წინადადება პროგრესული აღმოჩნდა და პრაქტიკაში დაინერგა.

ევგენი ამირანაშვილი კეთილი და გულისხმიერი მეგობარი იყო, საქმისათვის საოცრად თავდადებული ადამიანი. მან სრულყოფილად იცოდა ფრენბურთის ისტორია და წვრთნის მეთოდიკის საკითხები, მის მიერ მომზადებული საქართველოსა და ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრები გუნდები მრავალგზის გამოდიოდნენ საპრიზო ადგილებზე. მან მოამზადა ბევრი სპეციალისტი ფრენბურთში — მწვრთნელები, მსაჯები, გაზარდა 35 სპორტის ოსტატი. ე. ამირანაშვილი მართლაც სავსებით იმსახურებდა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდებას., ამირანაშვილს ერთ-ერთ პირველს მიაკუთვნეს ფრენბურთში საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდებაც. წლების მანძილზე იგი სათავეში ედგა მწვრთნელთა რესპუბლიკურ საბჭოს, იყო ფრენბურთში რესპუბლიკური ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" საზოგადოებრივი კორესპონდენტი.

ერთი სიტყვით, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, დაკავებული იყო საწვრთნო და საზოგადოებრივი საქმიანობით.

ლ. ჩხაიძე,
საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პროტექტორი, პროფესორი.

• • •

სურათზე: საქართველოს ქალთა ნაკრები ფრენბურთში ირანის ნაკრებთან მატჩის (თეირანი, 1964 წელი) წინ. შუაში დგას გუნდის მწვრთნელი ე. ამირანაშვილი.

ნუ დავკარგავთ ძველსა გზასა!

●

სად ხართ, ჩაბინაანელო ფალავნებო?

ახმეტის რაიონში არის ერთი პატარა სოფელი ჩაბინაანი, რომელსაც ფრიად საინტერესო სპორტული ისტორია აქვს. ამ სოფლის მკვიდრნი უმეტესწილად არიან მაისურაძეები, ჩიკვილაძეები, ბაქურაძეები, ყიფიანები. 1983 წლის იანვრის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 80 კომლი 279 მოსახლით. როგორც აქაურები ამბობენ, სოფელი განსაკუთრებით სწრაფი ტემპით იზრდება უკანასკნელ წლებში, ჩამოდიან მეზობელი სოფლებიდანაც. საინტერესოა, რომ 50-იან წლებში ჩაბინაანი 40 კომლს ითვლიდა, თუმცა სწორედ მაშინ დიდი სახელი და ავტორიტეტი ჰქონდა საქართველოში, განსაკუთრებით სპორტული თვალსაზრისით. დიახ, ჩაბინაანელები ქართული ჭიდაობის უბადლო ოსტატებად ითვლებოდნენ. მაგალითად, ამ სოფლის მკვიდრი ზაქრო ბაკურაძე ომის შემდგომ პერიოდში 5-ჯერ იყო საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, რამდენიმეჯერ — საბჭოთა კავშირის პირველობის პრიზიორი სამბოში; საქართველოს თერთმეტგზის ჩემპიონი და სამგზის აბსოლუტური ფალავანი გახდა ქართული ჭიდაობის განუმეორებელი ოსტატი სიმონ მაისურაძე; ამ სოფლიდანაა საქვეყნოდ აღიარებული მოჭიდავე, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ფარნაოზ ჩიკვილაძე. სხვადასხვა დროს საქართველოს ჩემპიონები იყვნენ ნოე მაისურაძე, ზაალ ჩიკვილაძე, ბაგრატ მაისურაძე, ვლადიმერ ჩიკვილაძე, კაკო ყიფიანი და სხვები.

ეს იშვიათი მოვლენაა ქართული ჭიდაობის ისტორიაში. ძნელია დაასახელო სოფელი, რომელსაც ამდენი ფალავანი, ამდენი სახელგანთქმული სპორტსმენი ჰყავდეს. ეს შემთხვევითი ამბავი არ არის. ჩაბინაანში დიდ-პატარა ქართული ჭიდაობით იყო გატაცებული და სოფელიც დიდ პატივს სცემდა გამორჩეულ ფალავნებს. ნიშანდობლივია, რომ ომის შემდგომ პერიოდში ამ სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი ზაქრო ბაკურაძე, მთავარი ბუღალტერი — საქართველოს ჩემპიონი ნოე მაისურაძე, ბრიგადირები — საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და აბსოლუტური ფალავანი სიმონ მაისურაძე, თბილისის ჩემპიონი ისაკ მაისურაძე; რგოლის ხელმძღვანელები — საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ზაალ ჩიკვილაძე, საქართველოს ჩემპიონები — ბაგრატ მაისურაძე, ვლადიმერ ჩიკვილაძე, მექანიზატორი — საქართველოს ჩემპიონატების პრიზიორი ნიკოლოზ მაისურაძე, აგიტატორი — ოლიმპიური პრიზიორი ფარნაოზ ჩიკვილაძე... ალბათ ამის გამო იყო, რომ კოლმეურნეობას ხუმრობით „ტრანანანას კოლექტივს“ ეძახდნენ. როცა აქ საქართველოს პირველობა, ან რაიონული შეჯიბრება იმართებოდა, ეს ნამდვილი სპორტული ზეიმი იყო. მასპინძლები, როგორც წესი, არავის უთმობდნენ პირველობას. მაგალითად, 1952 წელს საქართველოს აბსოლუტურ პირველობაზე ყველა საპრიზო ადგილი ჩაბინაანელებმა დაიკავეს, მომდევნო წელს კი საქართველოს პირველობაზე ამ სოფლის 4 ფალავანი ჩემპიონი გახდა. საინტერესოა, რომ იმ პერიოდში ჩაბინაანის კოლმეურნეობა ეკონომიურადაც ერთ-ერთი ძლიერი იყო მთელს საქართველოში.

დღეს რა მდგომარეობაა? სამწუხაროდ, ახლა ჩაბინაანელები აღარ ჩანან სპორტულ არენაზე. უყურადღებობით დაინგრა და დაცარიელდა საჭიდაო არენა, ქართულ ჭიდაობას თანდათან გამოეცალა საფუძველი, დაიფანტა სოფლის ახალგაზრდობაც, რომლის დიდმა ნაწილმა ქალაქს მიაშურა. ერთი სიტყვით, დაიკარგა ტრადიცია, რომლითაც ერთ დროს ასე ამაყობდნენ სოფელში, რაიონში. ვფიქრობთ, ამ ფაქტს ჩაუფიქრდებიან ადგილობრივი ხელმძღვანელები და იზრუნებენ ამ სავალალო მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამ იმედით დაიწერა ეს წერილიც.

რ. კრიჟინაშვილი.

ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83

დამაჯერებლად

სსრ კავშირისა და პოლონეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩს, რომელიც 9 ოქტომბერს შედგა მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე (72.500 მაყურებელი) დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის ჩემპიონატის II შესარჩევ ჯგუფში. პოლონელთათვის ეს უკანასკნელი შანსი იყო იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ ფინალში მოხვედრის ისედაც მეტად სათუო შანსი. შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპზე აშკარად სუსტად გამოიყურებოდა და დარჩენილ 2 შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმი უნდა აეღო, გარდა ამისა, მის მეტოქეებსაც ისე უნდა ეთამაშათ ერთმანეთთან, რომ პოლონელთათვის გზა გაეხსნათ პირველი ადგილისაკენ. ფინალის საგზურს, როგორც ცნობილია, მხოლოდ ჯგუფში გამარჯვებული ღებულობს.

მაგრამ მოგება ესაჭიროებოდა საბჭოთა ნაკრებსაც, რომელიც, ჯერ ერთი, იმაგრებდა პირველობის პოზიციას და, მეორეც, სამერმისოდ პორტუგალიელებთან შეხვედრაში მეტოქის მინდორზე ინარჩუნებდა ლიდერის მდგომარეობას.

თამაში მეტად საინტერესო, დაძაბული გამოდგა. სტუმრებმა დასაწყისში რამდენიმე შეტევა განახორციელეს, მაგრამ ინიციატივა მალე საბჭოთა ნაკრების მხარეს გადავიდა და შეხვედრის სიმძიმე მთელი მატჩის მსვლელობაში უმთავრესად პოლონელთა დაცვით ხაზებს დააწვა. აშკარად ვერ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობანი სტუმრების ცნობილმა ფორვარდებმა ბონეკმა და სმოლიარეკმა, ეს უკანასკნელი მწვრთნელმა შეცვალა კიდეც, ხოლო მცველები ვერ გაუმკლავდნენ მასპინძელთა ხშირ იერიშებს.

პირველი ბურთი უკვე მე-10 წუთზე გაიტანა დემიანენკომ გავრილოვისა და ჩერენკოვის მიერ გათამაშებული კომბინაციის შედეგად. შესვენების მერე ბლოხინმა ძნელი მდგომარეობიდან მოულოდნელად დაარტყა კარში, პოლონელთა მეკარე მლინარჩიკმა დააგვიანა და ვერ მიწვდა ბურთს — 2:0.

დარჩენილ დროში სსრ კავშირის ნაკრებს არ გასჭირვებია გამარჯვების შენარჩუნება.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: **სსრ კავშირი** — დასაევი, სულაქველიძე, ჩივაძე, დემიანენკო, ბალტაჩა, ბალი, ევტუშენკო (ტარხანოვი), ოჰანესიანი, გავრილოვი (ბურიაკი), ჩერენკოვი, ბლოხინი; **პოლონეთი** — მლინარჩიკი, მაევსკი, ვუიციცკი, ურბანოვიჩი, კრული, ბუნცოლი (პრუსიკი), ვიასი, ბუდა, ბონეკი, ქენსი, სმოლიარეკი (ძეკანოვსკი). შეხვედრა იმსაჯა ჰოლანდიელმა ი. კაიზერმა.

სატურნირო ცხრილი ევროპის ჩემპიონატის II ჯგუფში ახლა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	5	4	1	0	11-1	9
პორტუგალია	4	3	0	1	9-6	6
პოლონეთი	5	1	2	2	6-8	4
ფინეთი	6	0	1	5	3-14	1

ჯგუფში ჩასატარებელი დარჩა სულ 2 შეხვედრა. **28 ოქტომბერს** პოლონელები მიიღებენ პორტუგალიის ნაკრებს, ხოლო **13 ნოემბერს** პორტუგალიაში ერთმანეთს შეხვდებიან ამ ქვეყნისა და სსრ კავშირის გუნდები.

რა შეიძლება მოხდეს? ფინელები აღარ მიიღებიან სათვალავში, მათ შეუერთდნენ პოლონელებიც, რომლებსაც მაქსიმუმ 6 ქულის მოგროვება შეუძლიათ, ეს კი სრულიად უიმედო პერსპექტივაა. დარჩა 2 კონკურენტი: სსრ კავშირი და პორტუგალია. თუ სსრ კავშირის ნაკრებმა პორტუგალიელებთან ფრედ ითამაშა, 10 ქულით იგი მიუღწეველი იქნება. გაცილებით უფრო რთული ამოცანის წინაშე იმყოფებიან პორტუგალიელი ფეხბურთელები: მათი უპირველესი ამოცანაა გამარჯვება სტუმრად პოლონეთის გუნდთან, მერე შინ უნდა მოუგონ ჩვენს გუნდს, რათა აილონ „სრული კომპლექტი“ — 4 ქულა და 10 ქულით გავიდნენ პირველ ადგილზე.

ამრიგად, დარჩენილი 2 მატჩი გადაწყვეტს II ჯგუფში გამარჯვებულისა და ფინალის საგზურის მფლობელის საკითხს.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები წლეულს უნდა დამთავრდეს. ფინალის 8 მონაწილის წილისყრა 1984 წლის 10 იანვარს პარიზის „ჰილტონის“ სასტუმროში გაიმართება (ფინალისტები გაიყოფიან 2 ჯგუფად). წილისყრის წინ საფრანგეთის დედაქალაქში მიიწვევენ ფინალისტთა ეროვნული ფედერაციების ხელმძღვანელებს და გუნდების უფროს მწვრთნელებს. მათთან ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს საგანგებო თათბირი ექნება.

II ლიგა

გასულ შაბათს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 33-ე ტურის კალენდარული შეხვედრები.

„დინამო“ (ბათუმი) — „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) 3:0 (1:0).

ზონის ლიდერმა — ბათუმის „დინამომ“ სტუმრად ზედიზედ მოიგო ბოლო 2 ტურის შეხვედრები და გუნდი, ამჯერად თავის მინდორზე, რამდენადმე გადაქანცული ჩანდა. ალბათ ამიტომ იყო, რომ მატჩის პირველი ნახევარი შედარებით ნელ ტემპში წარიმართა, „ავტომობილისტის“ კართან სახიფათო მომენტები არ შექმნილა. მხოლოდ ტაიმის დასასრულს შეძლეს მასპინძლებმა მეტოქის მცველთა უხეში შეცდომის გამოყენება და ჩელებაძე-ზედანია-შაკიროვის კომბინაცია ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით დამთავრდა — 1:0.

გაცილებით უფრო მეტი მონდომებით ითამაშეს დინამოელებმა შესვენების შემდეგ. მართალია, იყო მომენტი, როცა მათ მეკარე მამინაშვილს ძნელი ბურთის აღება მოუხდა, მაგრამ შემდგომში ჯერ ადუაშვილმა, მერე კი კედელაძემ დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანეს თავიანთ გუნდს — 3:0.

გ. მურვანიძე.
(„ლელოს“ კორ.).

ტურის სხვა შედეგები: „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 2:1, „კოლხეთი“ (ფოთი) — „დინამო“ (სოხუმი) 2:1, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „დილა“ (გორი) 3:2, „ოლიმპია“ (არტაშატი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 1:0, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:0, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 2:2, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 2:0.

გათამაშების ცხრილი

II ლიგა, IX ზონა

მდგომარეობა 11 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ.“ ბ.	29	18	5	6	59-23	41
„კოტაიკი“	29	16	9	4	65-38	41
„კოლხეთი“	30	17	5	8	53-37	39
„კოლ-ჩი“	29	15	5	9	49-34	35
„მერცხ.“	29	15	4	10	34-30	34
„ლოკომ.“	29	14	6	9	41-25	34
„მეშახტე“	30	15	3	12	44-40	33
„დილა“	30	14	5	11	44-40	33
„ქიაფაზი“	30	12	5	13	47-49	29
„ყარაბ.“	29	12	4	13	38-36	28
„ხაზარი“	30	10	8	12	43-48	28
„შირაკი“	29	11	5	13	44-42	27
„დინ.“ ს.	30	10	6	14	29-41	26
„სპარტ.“	29	10	2	17	34-44	22
„ავტომ.“	30	6	6	18	30-60	18
„არაზი“	29	6	6	17	31-63	18
„ოლიმპია“	29	4	6	19	26-62	14

„დინამო“ — „ნეფთჩი“

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გამართულ უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საწვრთნელ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო“ და ბაქოს „ნეფთჩი“.

თამაში დამთავრდა ანგარიშით 4:1 „დინამოს“ სასარგებლოდ. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ცაავამ (3) და გუცაევმა (პენალტით).

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: აბუსერიძე, ჟიბა, პაიკიძე (ქორქიკაშვილი), უკლება, ჩიქოვანი (კერესელიძე), კაკილაშვილი (ჩქარეული), სვანაძე, კოპალეიშვილი (გურული), გუცაევი, ცაავა, ქვანია.

მენოტი: „ფეხბურთი ფეხბურთად უნდა დარჩეს!“

წელიწადზე მეტია ესპანეთის „ბარსელონას“ სათავეში ჩაუდგა ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტი, 45 წლის ლუის ცეზარ მენოტი. მისი ხელმძღვანელობით არგენტინის ეროვნულმა ნაკრებმა უძლიერესის სახელი მოიპოვა მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატში. ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, ლ. მენოტიმ გდრ-ის გაზეთ „იუნგე ველტს“ მისცა.

კითხვა: აქა-იქ გამოჩნდა ცნობა, რომ მალე სამშობლოში დაბრუნებას აპირებთ. რა იყო თქვენი ევროპაში გამომგზავრების მიზეზი?

პასუხი: ევროპაში, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური მოტივით წამოვედი. ამით პროტესტი განვუცხადე არგენტინაში გამეფებულ სამხედრო ხუნტას, მსურდა დამემტკიცებინა, რომ ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგი ვარ. თუ ჩემი ქვეყნის დღევანდელი ხელმძღვანელობა მეტს გააკეთებს დემოკრატიისათვის, უმალ დავბრუნდები სამშობლოში მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობისა.

კითხვა: ვიყოთ გულახდილნი. 1978 წელს არგენტინელმა ფეხბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონობას მიაღწიეს სამხედრო რეჟიმის პირობებში. თქვენმა წარმატებამ ერთგვარი რეკლამაც კი გაუკეთა სამხედროებს.

პასუხი: არგენტინელ ფეხბურთელთა წარმატება უბრალო ადამიანების დამსახურებაა, რომლებიც თავგამოდებით გვქომაგობდნენ, განსაკუთრებით გაჭირვების ჟამს.

კითხვა: რა უფრო გიადვილდებათ — არგენტინის ნაკრების მწვრთნელობა, თუ „ბარსელონასი“?

პასუხი: უფრო მოსახერხებელია „ბარსელონას“ მწვრთნელობა. არგენტინაში 25 მილიონი კრიტიკოსი მყავდა, ბარსელონაში კი მათი რიცხვი სულ 1 მილიონია.

კითხვა: „ბარსელონა“ თავისი შემადგენლობით ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. როგორ ახერხებთ საერთო ენის გამონახვას მის ფეხბურთელებთან?

პასუხი: ფეხბურთის გუნდი ორკესტრის მსგავსია. ორკესტრი ძლიერად ჯერ კიდევ არ ჩაითვლება, თუ მას მხოლოდ ერთი გენიოსი ჰყავს. შედევრი მაშინ იქმნება, როდესაც ორკესტრს უნარიანად დირიჟორობენ. ასეთივე მდგომარეობაა, ჩემი აზრით, „ბარსელონაშიც“. დიეგო მარადონასა და ბერნდ შუსტერის სახით გუნდში ორი ვარსკვლავია, რომლებსაც ბევრი ძლიერი ფეხბურთელი უმშვენებს მხარს. ჩემი ამოცანაა ამ ანსამბლიდან შევქმნა მთლიანი კოლექტივი, რომელიც ფეხბურთს ხელოვნებად აქცევს.

კითხვა: გავს თუ არა დღევანდელი ფეხბურთი ამ 20 წლის წინანდელს?

პასუხი: დღეს ისევე მრავლადაა კარგი ფეხბურთელი, როგორც წინათ, იმ განსხვავებით, რომ ფიზიკურმა მომზადებამ ახლანდელ პირობებში ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა. სამწუხაროდ, შემცირდა კარგ მწვრთნელთა და სპეციალისტთა რაოდენობა, რომლებიც ასე სჭირდება მომავალ ფეხბურთს.

კითხვა: რას ფიქრობთ პროფესიულ ფეხბურთზე?

პასუხი: ყველაფერი საზოგადოებრივ წყობაზეა დამოკიდებული. თუ გვინდა მოისპოს პროფესიული ფეხბურთი და არა მარტო ეს, უნდა შეიცვალოს საზოგადოებრივი დამოკიდებულება, ჯერჯერობით კი მათ, ვისაც ნამდვილად უყვარს ეს თამაში, ყველაფერი უნდა იღონონ, რათა ფეხბურთი დარჩეს ფეხბურთად და არა მარტოოდენ პრიმიტიულ, გასართობ სანახაობად.

კითხვა: უცხოეთშიც და შინაც „ბარსელონას“ მრავალი ჟურნალისტი დაყვება თან. ხომ არ გაღიზიანებთ ეს ამბავი?

პასუხი: პირიქით. ჟურნალისტთა ასეთი დაინტერესება გვარწმუნებს, რომ ჩვენი კლუბი კარგად თამაშობს. ყოველ ჟურნალისტს მომხდარ მოვლენათა გადმოცემის თავისი სტილი და მანერა აქვს, ეს კიდევ უფრო ამდიდრებს ტრადიციებს და ამაღლებს ფეხბურთელთა პრესტიჟს მაყურებელთა შორის.

კითხვა: არგენტინაში ფეხბურთის მატჩების ტაიმებს შორის შესვენების დროს მიღებულია ბურთის კენწვლა. არსებობს თუ არა რაიმე რეკორდი?

პასუხი: ზუსტ პასუხს ვერ მოგცემთ, ეს კი ვიცი, რომ მარადონას მთელი დღის განმავლობაში შეუძლია ბურთი მიწაზე არ დაუშვას. იყო შემთხვევა, როცა მან 10-ჯერ შემოუარა სტადიონის ბილიკს კენწვლა-კენწვლით.

კითხვა: ვინ მიგაჩნიათ მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელად?

პასუხი: პელე! იგი საუკუნის ფეხბურთელია, ვისთან ერთადაც, სხვათა შორის, 1967-68 წლებში „სანტოსის“ შემადგენლობაში მითამაშია.

კითხვა: ნაკრების ღირსება თუ დაგიცავთ?

პასუხი: ჩემი საფეხბურთო კარიერის მანძილზე არგენტინის ეროვნულ ნაკრებში, როგორც ნახევარმცველს, 32 მატჩი მაქვს ჩატარებული.

პუბლიკაცია მოამზადა
მ. რადიანმა.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ფიფა-ს იუბილე

ამ დღეებში ციურიხში გაიმართა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეს-კონფერენცია, სადაც მოხსენებით გამოვიდა ჟ. აველანჟი. პრეზიდენტმა დამსწრეთ გააცნო ის ღონისძიებები, რომლებიც მიეძღვნება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის 80 წლისთავს. დიდ ინტერესს იწვევს იტალიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მატჩი, რომელიც ციურიხში გაიმართება 22 მაისს. ეს იქნება განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის თავისებური გაგრძელება. ამ სამახსოვრო დღისთვის მაყურებელთათვის დაამზადებენ სუვენირებს, ხოლო თვით ფეხბურთელებს გადასცემენ უეფა-ს ყოფილი პრეზიდენტის, საავტომობილო კატასტროფაში დაღუპული ა. ფრანკის ხსოვნის აღმნიშვნელ პრიზებს.

ფიფა-ს იუბილეს დღეებში მოეწყობა სპეციალური გამოფენები, აჩვენებენ საფეხბურთო თემაზე დადგმულ ფილმებს, მათ შორის 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ამსახველ კინოსურათს „გოლს“, რომელიც ინგლისელებმა გადაიღეს..

ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83



აფრები კუს ტბაზე

ლამაზი და ამასთან ცოტა უჩვეული სანახავი იყო სექტემბრის ბოლოს შემოდგომის მზით გამთბარი კუს ტბა. სამი დღის განმავლობაში წყლის მოლივლივე ზედაპირზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 10-14 წლის ნორჩი აფროსნები პატარა, ბრტყელცხვირა „ოპტიმისტებით“.

ერთი შეხედვით, თითქოს შეუძლებელი იყო ამ მცირე ფართობის წყალზე აფროსნებს „მხრები გაეშალით“, თანაც, მთებით გარშემორტყმული ტბის ზედაპირზე „ზურგქარიც“ არ ამოვარდებოდა.

ასე ფიქრობდა ბევრი სკეპტიკოსი და სიახლეს ეჭვით უყურებდა, მაგრამ ამ საქმის ინიციატორმა, ენერგიულმა ახალგაზრდა კაცმა, აფროსნობაზე უზომოდ შეყვარებულმა დ. ზოდელავამ ტბაზე ნავი აიტანა და პირადი მაგალითით დაარწმუნა ყველა, რომ ამ პატარა წყალსაცავზე აფრებისათვის ფართობიც საკმაოა და სასრიალოდ საჭირო ქარიც ყოველთვის ქრის.

საქმე ადგილიდან დაიძრა. თბილისის სპორტკომიტეტმა აფროსნობის ნორჩ მოყვარულებს 10 „ოპტიმისტი“ გადასცა და დღეისათვის 7-დან 15 წლამდე ასაკის 70 მოსწავლე მწვრთნელების გია პირველისა და სპორტის ოსტატ პაატა გოგიჩაიშვილის ხელმძღვანელობით სპორტის ამ ლამაზი და რომანტიკული სახეობის ანბანს ეუფლება.

ორჯონიკიძის რაიონის 78-ე საბინაო-საექსპლოატაციო უბანთან გახსნილმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის გურამ ბიგანიშვილის სახელობის სპორტულმა კლუბმა „ალისფერი იალქნები“, ჭავჭავაძის პროსპექტის 62 ნომერში დაიდო ბინა.

კლუბის პრეზიდენტია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი დავით ზოდელავა, რომლის ენთუზიაზმი რომ არა, ეს კარგი წამოწყება ალბათ განუხორციელებელი დარჩებოდა.

საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილ კლუბს შეფობენ საწარმოო გაერთიანება „საქპოლიმერკონტეინერი“, სოფლის მეურნეობის სამინისტროს № 1 სამშენებლო ტრესტი და ქარხანა „საქსოფმანქანა“.

...სექტემბრის ბოლოს კუს ტბაზე მოწყობილ შეჯიბრებაში მონაწილეობდა კლუბის 15 ნორჩი აფროსანი, რომლებიც ორ ასაკობრივ ჯგუფში გამოდიოდნენ. სამდღიანი ასპარეზობის შემდეგ გაიმარჯვეს თბილისის 54-ე საშუალო სკოლის მეექვსეკლასელმა ლადო ჯიშკარიანმა და მე-14 საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლემ გოგიტა გოდიბაძემ. პრიზიორებს სამახსოვრო დიპლომები და თასები გადაეცათ კლუბის ახლადგახსნილ შენობაში გამართულ საზეიმო საღამოზე, რომელსაც დაესწრნენ თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გ. ყირმელაშვილი, ქალაქის საბინაო სამმართველოს უფროსი გ. დიდბარიძე, სახალხო დეპუტატთა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე მ. ავალიანი, საბინაო ტრესტის მმართველი გ. გუგუნავა, რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ნ. მაჭარაძე, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრის დირექტორი, თბილისის საიალქნო კლუბის პრეზიდენტი ი. ფერაძე. მათი პრაქტიკული დახმარების შედეგად კლუბს სადღეისოდ აქვს კეთილმოწყობილი დარბაზი თეორიული მეცადინეობებისა და ლექცია-საუბრების ჩასატარებლად, სავარჯიშო დარბაზი ტრენაჟორებით, სახელოსნოები და სხვა დამხმარე სათავსოები.

სტუმრები მომავალშიც საქმიან დახმარებას დაპირდნენ ნორჩ აფროსნებს...

კლუბი „ალისფერი იალქნები“ ელის ახალ წევრებს!

გ. ახალაძე.

• • •

სურათებზე: „ოპტიმისტები“ კუს ტბაზე; შეჯიბრების გამარჯვებული ლადო ჯიშკარიანი ფინიშის შემდეგ.

ავტორის ფოტოები.

გ. ნიკოლაძის მემორიალი დამთავრდა

სამტრედიაში დამთავრდა გამოჩენილი მეცნიერის, სპორტსმენისა და საზოგადო მოღვაწის გ. ნიკოლაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი I რესპუბლიკური ტურნირი.

I-II ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა გ. თორიამ (თბილისი) და კ. შავგულიძემ (ქუთაისი) — 6,5-6,5 ქულა. III ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი გ. ტყებუჩავა (ცხაკაია) — 6. IV ადგილი დაიკავა ოსტატმა დ. გედევანიშვილმა (თბილისი) — 5.

მემორიალის საზეიმო დახურვაზე გამარჯვებულებს პრიზები და სიგელები გადასცა საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. იმედაძემ.

თ. ქიქავა.

• • •

სურათზე: გ. თორია (მარცხნივ) და კ. შავგულიძე.

ავტორის ფოტო.

ლიდერობენ მასპინძლები

სამტრედიაში მიმდინარეობს საქართველოს გოგონათა და ჭაბუკთა ჩემპიონატები ასუჯრიან შაშში.

4 ტურის შემდეგ გოგონათა შეჯიბრებაში ლიდერობს ოსტატობის კანდიდატი თ. გრიგოლია (სამტრედია) — 3,5 ქულა. მას ქულით ჩამორჩება ფ. ზუბიაშვილი (თბილისი), ქულანახევრით — ლ. ღირდალაძე (სამტრედია).

ჭაბუკთა პირველობაში დაწინაურდა მ. კრავეიშვილი (სამტრედია), რომელმაც ოთხივე შეხვედრა მოიგო. 3,5-3,5 ქულა აქვთ ძმებს დავით და იმედა შანიძეებს.

ჩემპიონატები 18 ოქტომბრამდე გასტანს.

თ. მარტვილელი.
(„ლელოს“ სპეც. კორ.).

● **ჭადრაკი**

სახელოვან იუბილეს მიეძღვნა

110 მოჭადრაკის მონაწილეობით

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი მასობრივი ტურნირი. შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად ჩატარდა, 110 მოჭადრაკე (31 ოსტატობის კანდიდატი, 79 პირველთანრიგოსანი) მონაწილეობდა.

I-IV ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა გ. გრძელიშვილმა, დ. პაქსაშვილმა, ლ. გორდეზიანმა და პ. ჯაჭვაძემ (კოეფიციენტთა ცხრილით ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ ისინი ტურნირში) — 8,5-8,5 ქულა, V-IX ადგილები გაინაწილეს ოსტატობის კანდიდატებმა ნ. ლობჟანიძემ (V ადგილზეა კოეფიციენტთა ცხრილით), გ. მაღალაშვილმა, შ. ჭრელაშვილმა, რ. მჭედლიშვილმა და კ. ძიძიგურმა — 8-8.

პირველი ხუთი გამარჯვებული მონაწილეობას მიიღებს ჭადრაკის სასახლის პირველობაში, რომელიც დეკემბერში ჩატარდება.

გ. ფამილიანტი,
ჭადრაკის სასახლის ინსტრუქტორი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

● **შაში**

დამაჯერებელი გამარჯვება.

აქვე დამთავრდა ტურნირები ასუჯრიან შაშში. ეს ასპარეზობაც მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს.

ვაჟთა ტურნირში 16 მოშაშე მონაწილეობდა, მათ შორის 8 ოსტატობის კანდიდატი იყო. 14 ქულით დამაჯერებლად გაიმარჯვა რუსთაველმა ოსტატობის კანდიდატმა თ. რეხვიაშვილმა. 12,5 ქულით II ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი, 15 წლის ჯ. ბერიშვილი (აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მან მოუგო რეხვიაშვილს). III ადგილი წილად ხვდა ვეტერან მოშაშე რ. რეხვიაშვილს (12 ქულა).

ქალთა შორის გაიმარჯვა ნ. მთიულიშვილმა, — 6 ქულა 7-დან. II ადგილი დაიკავა თ. ხორბალაძემ (5,5 ქულა).

დასასრულს გაიმართა ბლიცტურნირი, რომელშიც ორმა ოსტატმა და ოსტატობის კანდიდატმა მიიღო მონაწილეობა. 10 ქულით I ადგილი დაიკავა ოსტატმა ა. გოიხმანმა.

გამარჯვებული მოშაშეები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

რ. ქერდიყოშვილი,
სპორტის ოსტატი.

● **ჩოგბურთი**

„გრან პრის“ პრეტენდენტები

ჩოგბურთის პოპულარულ ჯილდოს „გრან პრის“ პრეტენდენტთა მდგომარეობა დღეისათვის ასეთია:

ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) — 2074 ქულა (11 ტურნირის შემდეგ), კონორსი (აშშ) — 2060 (12), ვილანდერი (შვეცია) 1901 (14), ნოა (საფრანგეთი) — 1682 (10), არიასი (აშშ) — 1680 (16), მაკინროი (აშშ), — 1660 (8), კლერკი (არგენტინა) — 1125 (12), გომესი (ეკვადორი) — 868 (15), ჯ. მაიერი (აშშ) — 834 (9) და ა. შ.

წერილი რედაქციას

●

ისევ „ოლიმპიადა“!

რამდენიმე წლის წინათ ჩვენს ქალაქს, რუსთაველის პროსპექტზე, შეემატა შესანიშნავი სპორტული მაღაზია „ოლიმპიადა-80“, რომელმაც სულ მალე მოიპოვა პოპულარობა. განსაკუთრებით ხშირად შეხვდებოდით აქ სპორტსმენებს, ახალგაზრდობას, რომლებიც იძენდნენ სხვადასხვა სპორტულ საქონელს, სუვენირებს და ა. შ.

სამწუხაროდ, ამ რამდენიმე ხნის წინათ მაღაზიას ჩამოხსნეს აბრა და ოლიმპიური ემბლემა, რომლებიც ასე ამშვენებდნენ მას. როგორც მაღაზიის მუშაკებისაგან შევიტყვეთ, ახლა მას უკეთებენ ახალ აბრას, მეტად პროზაული სახელწოდებით „სამრეწველო საქონელი“.

ვფიქრობთ, რომ ჩვენი ქალაქის სიამაყეს — რუსთაველის პროსპექტს, რომელსაც მრავალი მაღაზია ამშვენებს ლამაზი წარწერებით — „საუნჯე“, „ნარგიზი“, „ლუქსი“, „ბორჯომი“, და ა. შ. მოუხდება უფრო შესაფერისი, სხარტი სახელი.

ჩვენ, როგორც სპორტის მოყვარულები, მხარს ვუჭერთ ადრინდელ, უკვე შეჩვეულ სახელწოდებას ოდნავი კორექტივით — „ოლიმპიადა“, რომელიც ამ შემთხვევაში გამოხატავს არა მარტო უკვე ისტორიად ქცეულ მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს, არამედ საერთოდ ოლიმპიადებს. ვფიქრობთ, რომ დედაქალაქის ვაჭრობის სამმართველო ყურად იღებს ჩვენს წინადადებას.

გ. ტორაძე,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი,

გ. გამრეკელი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი,

ლ. ფალავანდიშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

სპორტულ სარბიელზე მხოლოდ სასპორტო ფეხსაცმელით!

მსუბუქი და პრაქტიკულია სასპორტო კედები, ნახევარკედები, სანდლები, ჩუსტები, ისინი კარგი მოსახმარია და ძალზე მოსახერხებელიც ვარჯიშობისას, არ ღლის ფეხს.

სასპორტო ფეხსაცმელი დიდხანს ძლებს და ადვილადაც ირეცხება. კედები და ნახევარკედები კარგია კალათბურთის, ფრენბურთისა და ჩოგბურთის სათამაშოდ.

ასეთი ფეხსაცმელი შეგიძლიათ შეიძინოთ სამომხმარებლო კოოპერაციის მაღაზიებში.

საქკოოპრეკლამა.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი)

14 ოქტომბერს — **სათადარიგო შემადგენლობანი.**

დასაწყისი 18 საათზე.

15 ოქტომბერს — **ძირითადი შემადგენლობანი.**

დასაწყისი 18 საათზე.

ორგანიზაციებს ბილეთები მიეყიდებათ 13-14 ოქტომბერს 10 საათიდან.

ბილეთების საერთო გაყიდვა 15 ოქტომბერს სტადიონის სალაროებში 10 საათიდან.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 XII უე 07851